



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N21

ქ. მარნეული

20.11.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:** მარნეულის 22-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – იაკობ ასანიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი.

**საკრებულოს წევრები:** - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ნოდარ მთვარელიძე, ზურაბ ფანგანი, გივი გიორგაძე, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, თორნიკე გოგლიძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, აივაზ ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

**არ ესწრებოდა:** ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „TV-მარნეული“-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამალ მუსაევი, Civil Media-ს დირექტორი ხაიამ ისაევი, 24-ე არხის ჟურნალისტები: ილქინ ჰუსეინოვი, აზერ მამედოვი, მოქალაქეები: ქამრან კირიაკოვი, ზაურ კილაძე.

## განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. პირველი სხდომის გახსნა.
2. საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება - არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოცხადება.
3. სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა.
4. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა.
5. საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა.
6. საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობა.
7. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
8. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
9. საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცება (საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით).
10. საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცება (საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით).
11. მერიის დებულების დამტკიცება.
12. მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება.
13. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა.
14. მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცება

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის N22 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იაკობ ასანიძემ გააკეთა მოხსენება მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია თემურ აბაზოვი და მისი უფლებამოსილების ცნობა იწყება 2017 წლის 12 ნოემბრიდან. ასევე იაკობ ასანიძემ წარმოადგინა დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობის შესახებ, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის არჩევნების შედეგად არჩეულია 35 წევრობის კანდიდატი, მათ შორის: მაჟორიტარული სისტემით 20 კანდიდატი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“-დან, ხოლო პროპორციული სით ასარჩევი 15 კანდიდატიდან 11 არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“-დან, 3-„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“ და 1 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-დან. იაკობ ასანიძემ საკრებულოს ახალი შემადგენლობის უხუცეს წევრს აშრაფ ტუკანოვს გადასცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სთხოვა, კანონმდებლობის შესაბამისად, გაძლოლოდა პირველ სხდომას.

3-6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხებთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ აშრაფ ტუკანოვმა საკრებულოს წინაშე დააყენა დროებითი სამანდატო და საპროცედურო და ხმის დამთვლელი დროებითი კომისიების არჩევის საკითხი. სამანდატო და საპროცედურო დროებითი კომისიის წევრებად დასახელდნენ ზურაბ ჭონიაშვილი, ტარიელ მამედოვი და აზატ კარიმოვი, ხოლო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად დასახელდნენ რომან ტაბატაძე, ნიკოლოზ გოგოჭური და ადილ გურბანოვი. სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული კანდიდატურები, რის შემდეგაც, ღია კენჭისყრის შედეგად დროებითი სამანდატო კომისიის წევრებად არჩეული იქნენ ზურაბ ჭონიაშვილი, ტარიელ მამედოვი და აზატ კარიმოვი, ხოლო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად – რომან ტაბატაძე, ნიკოლოზ გოგოჭური და ადილ გურბანოვი. საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კომისიას გადასცა მარნეულის 22-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესახებ, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის, რის შემდეგაც გამოცხადდა შესვენება. შესვენების შემდეგ დროებითმა სამანდატო კომისიამ საკრებულოს წარუდგინა დასკვნა საკრებულოს და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. (სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა, დანართი N1 თან ერთვის).

ღია კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, ცნობილი იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილება, რის შემდეგაც შეუწყდა უფლებამოსილება მარნეულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მოწვევის საკრებულოსა და მის წევრებს. (მიღებულია განკარგულება N95. 20.11.2017 წ.)

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებმა: ბესიკ გელენიძემ, მამუკა ნავერიანმა, ნიკოლოზ გოგოჭურმა, ნოდარ მთვარელიძემ, ნადირ გულიევმა, ვანო ბურნაძემ, გივი გიორგაძემ, ზურაბ ფანგანმა, რომან ტაბატაძემ, რიჩარდ გიგანმა, რამინ ალახვერდიევმა, ტარიელ მამედოვმა, ნიკოლოზ მუმლაძემ, თორნიკე გოგლიძემ, ზურაბ ჭონიაშვილმა, ალი მურადოვმა, არამ კარაპეტინმა, გეიდარ მუსაევმა, ბესიკ გუჯეჯიანმა, აშრაფ ტუკანოვმა, არსენ ახვერდიანმა, როვმან ისკანდაროვმა, ომარ ირიშოვმა, ჰუსეინ ჰუსეინოვმა, ილხამ გასანოვმა, მირკაზუმ იაგუბოვმა და ლევონ აკოპიანმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელეს საკრებულოს წევრი ამირან გიორგაძე, რაზეც კანდიდატმა განაცხადა თანახმობა. სხდომის თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ აშრაფ ტუკანოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 31 ხმით საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია ამირან გიორგაძე. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრის სხდომის N1 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N96. 20.11.2017 წ.)

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა საკრებულოს წევრი მამუკა ნავერიანი, რაზეც მამუკა ნავერიანმა განაცხადა თანხმობა. საკრებულოს თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 29 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია მამუკა ნავერიანი. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრის სხდომის N2 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N97. 20.11.2017 წ.)

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N34. 20.11.2017 წ)

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N35. 20.11.2017 წ)

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მერიის დებულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N36. 20.11.2017 წ)

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები: N38, N39, N40, N41, N42, N43, N44 და N45. 20.11.2017 წ)

13-14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე და მეთოთხმეტე საკითხებთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობრივი სარგო განსაზღვროს 2650 ლარით, რის შემდეგაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N37. 20.11.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეერთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე